



აღსრულების ეროვნული ბიუროს

**პოლიტიკის
სახელმძღვანელო**

აღსრულების პოლიტიკის მიზანი

აღსრულების პოლიტიკის დოკუმენტი არის მმართველი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი ორგანიზაციის კურსს, ძირითად სამოქმედო პრინციპებს და მიდგომებს, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებული პირები აღგვიქვამენ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ფუნქციის მატარებელ ორგანიზაციადა.

აღსრულების პოლიტიკა უზიძგებს ჩვენს თანამშრომლებს აწარმოონ უფრო პროაქტიული და ეფექტური აღსრულება დაინტერესებულ მხარეთა სასარგებლოდ. აღსრულების პოლიტიკა არის პრევენციული მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს მოვალეს თავი დაიცვას ახალი ვალებისაგან.

აღსრულების პოლიტიკა ასახავს აღსრულების პროცესს და წარმოადგენს დამხმარე საშუალებას აღმასრულებლისთვის, ხელს უწყობს აღსრულების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე პრიორიტეტების განსაზღვრის გამარტივებას, პრაქტიკის ერთიანობასა და ერთგვაროვნებას.

აღსრულების პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა და ამასთანავე დაიცვას მოვალის უფლებები.

ჩვენ ვახორციელებთ აღსრულებას “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტების მიხედვით. ჩვენი ორგანიზაცია არის აღებული ვალდებულებების შესრულების, ეფექტური მომსახურებისა და სრული დოკუმენტური ანგარიშის გარანტი, ხოლო ჩვენი ეფექტური საქმიანობის საბოლოო პროდუქტი კი არის გარანტი იმისა, რომ დაინტერესებული მხარეები ჩვენ სანდო ორგანიზაციადა აღგვიქვამენ.

აღსრულების ინსტიტუტის დანიშნულება

აღსრულების დანიშნულებას წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველსაყოფად პირთა დარღვეული უფლებების აღდგენა, საზოგადოებაში ბალანსის შენარჩუნება.

პირები, რომელთა უფლებების აღსადგენად არსებობს აღსრულების ინსტიტუტი არიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები, გაერთიანებები და სახელმწიფო — ყველა ის პირი, რომლის უფლების დარღვევა დადასტურებულია სათანადო წესით.

როდესაც მოვალე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას კრედიტორს შეუძლია დახმარებისათვის მიმართოს ერთადერთ საჯარო ორგანიზაციას, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული უფლებამოსილება იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით დაეხმაროს კრედიტორს უფლების აღდგენაში. ეს ორგანიზაცია არის აღსრულების ეროვნული ბიურო.

ჩვენ კანონი გვაკისრებს მნიშვნელოვან ფუნქციას, რომლის შესრულების პროცესში ვმოქმედებთ კანონის შესაბამისად კეთილსინდისიერად, გაბედულად, სწრაფად და ვიღებთ პასუხისმგებლობას ჩვენს მიერ განხორციელებულ ყოველ ქმედებაზე.

აღსრულების ეროვნული ბიურო

აღსრულების ეროვნული ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აღსრულების ეროვნული ბიურო, როგორც ცალკე სუბიექტი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს სააღსრულებო საქმიანობას, დაარსდა 2008 წელს.

აღსრულების ეროვნული ბიუროს უმთავრესი დანიშნულებაა — სასამართლო, ადმინისტრაციული ორგანოების და კანონით განსაზღვრული სხვა გადაწყვეტილებების აღსრულება. ამ მიზნის მისაღწევად აღსრულების ეროვნული ბიურო ეწევა სააღსრულებო საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც უფლებამოსილია გამოიყენოს იძულებითი ღონისძიებები.

აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემა შედგება მისი ტერიტორიული ორგანოებისაგან — სააღსრულებო ბიუროებისაგან და სტრუქტურული ერთეულებისაგან, რომელთა მეშვეობით წარმოებს ყოველდღიური სააღსრულებო საქმიანობა.

სააღსრულებო საქმიანობით დაინტერესებულ პირთა უფლებები და მოლოდინი

ჩვენი საქმიანობით დაინტერესებული პირები არიან როგორც კონკრეტული საქმის მხარეები — კრედიტორები და მოვალეები, ასევე ჩვენს მიერ გამართული საჯარო აუქციონის მონაწილეები, აღსრულების პროცესში ჩართული დაწესებულებები, რომლებსაც ევალებათ მოგვანოდონ ინფორმაცია მოვალეების შესახებ და დაანესონ ქონების განკარგვის შეზღუდვები, მესამე პირები, რომელთა მოძრავი ქონება შესაძლოა განდეს დაყადალების ობიექტი.

სააღსრულებო წარმოების პროცესში მონაწილე კარიდიტორებსა და მოვალეებს უფლება აქვთ:

თვალყური ადევნონ სააღსრულებო საქმის მსვლელობას;

მიიღონ მაქსიმალური ინფორმაცია მათი სააღსრულებო საქმის მსვლელობის, მათ შორის აღმასრულებლის მიერ დაგეგმილი მოქმედებების შესახებ;

დაესწრონ სააღსრულებო მოქმედებებს და ამით ხელი შეუწყონ გადანყვეტილების აღსრულებას;

სააღსრულებო პროცესში უშუალო ჩართულობით ხელი შეუწყონ აღსრულების პროცესის ეფექტურ განხორციელებას;

მიიღონ თავის საქმესთან, მათ შორის აუქციონის წესებთან და პროცედურებთან, ასევე სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი კონსულტაცია;

აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე:

- ✓ მორიგდნენ;
- ✓ წარმოადგინონ მოვალის ქონების შეძენით დაინტერესებული პირები;
- ✓ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასებამდე წარმოადგინონ სარეალიზაციო ქონების შეფასების თაობაზე ექსპერტის დასკვნა;
- ✓ მიიღონ მონაწილეობა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამართულ საჯარო აუქციონში და შეიძინონ ქონება;
- ✓ აირჩიონ აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრების გზა — პირდაპირ სასამართლოში ან აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან, რომლის უარი შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში;

მიიღონ ინფორმაცია სააღსრულებო საქმიანობის შესახებ: სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველი, სააღსრულებო მოქმედებების მიმდინარეობა, მონაწილე პირთა უფლებები და ვალდებულებები, აუქციონის წესები და სხვა;

მიიღონ მონაწილეობა ჩვენს მიერ გამართულ საჯარო აუქციონებში და შეიძინონ ქონება;

გაეცნონ სააღსრულებო საქმის მასალებს, თუ ისინი წარმოადგენენ წარმოების მხარეებს ან ეს მასალები ეხება მათ კანონიერ უფლებებს და ინ-

ტერესებს (გარდა კანონით საიდუმლოდ მიჩნეული მასალისა);

გაასაჩივრონ აღმასრულებლის მოქმედებები, რომლებიც ხელყოფენ მათ კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

დაინტერესებულ პირთა მოლოდინი აღსრულების ეროვნული ბი- უროს სააღსრულებო საქმიანობასთან დაკავშირებით

სააღსრულებო წარმოებით დაინტერესებული ყველა პირი ჩვენთან ელოდება:

- ✓ სააღსრულებო საქმიანობის მაღალ ხარისხს;
- ✓ მათთვის მარტივ პროცედურებს;
- ✓ მათი დროისა და ფინანსური რესურსის დაზოგვას;
- ✓ მათი უფლებების პატივისცემას და ინტერესების გათვალისწინებას;
- ✓ ყურადღებიან და პატივისცემით განსჭვალულ დამოკიდებულებას;
- ✓ თანაბარ დამოკიდებულებას, განურჩევლად მათი სოციალური მდგომარეობის, ნაციონალობისა და გენდერული კუთვნილებისა;
- ✓ მიღებული ინფორმაციის საიმედოობას;
- ✓ თავიანთი უფლებების სრულად განხორციელების შესაძლებლობას.

ამასთან, სააღსრულებო წარმოების საღიჯულ მონაწილეებს – კრედიტორს, მოვალეს და ჩვენს მიერ გაბარებულ აუქციონში მონაწილე პირებს აქვთ განსაკუთრებული მოლოდინი ჩვენი ორგანიზაციისადმი:

კრედიტორთა მოლოდინი

- ✓ სწრაფად და სრულად აღიდგინონ დარღვეული უფლებები და მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნას თანხით, ქონებით ან სხვა მათთვის მისაღები გზით;
- ✓ ჰქონდეთ მყისიერი და სრული ინფორმაცია სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის შესახებ;
- ✓ კომფორტულ გარემოში, მინიმალური დროისა და სახსრების დანაკარგით მიიღონ სასურველი შედეგი.

მოვალეთა მოლოდინი

- ✓ მიიღონ სრული ინფორმაცია კრედიტორთა მოთხოვნების, დამატებითი გადასახდელებისა და იმ იძულებითი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მოსალოდნელია მათ მიმართ;
- ✓ მიეცეთ შესაძლებლობა ნებაყოფლობით შეასრულონ კრედიტორთა მოთხოვნები;
- ✓ მიიღონ ფინანსური ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა ეტაპობრივად და მათთვის მისაღები პირობებით;
- ✓ ჰქონდეთ მყისიერი და სრული ინფორმაცია სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის შესახებ;
- ✓ განსაკუთრებით რთული ოჯახური პირობებისა და ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში მიეცეთ ვალდებულებების შესრულების გადავადების შესაძლებლობა.
- ✓ იგრძნონ ინდივიდუალური მიდგომა და ყურადღებიანი დამოკიდებულება მათი შემთხვევის მიმართ.

აუქციონში მონაწილეთა და გამარჯვებულ პირთა ქონების უზრუნველყოფის მოლოდინი:

ჩვენს მიერ მოვალის ქონების აუქციონზე გატანის დღიდან სააღსრულებო წარმოებაში ერთგვიან პოტენციური მყიდველები — აუქციონში მონაწილე პირები, რომლებსაც სურვილი აქვთ:

- ✓ მიიღონ ეფექტური სააუქციონო მომსახურება აუქციონის დახვეწილი და მარტივი წესებით;
- ✓ შეძლონ ვაჭრობა კომფორტულ და მათთვის მისაღებ გარემოში;
- ✓ მიიღონ სრული და საიმედო ინფორმაცია მათთვის სასურველი ქონების შესახებ და ჰქონდეთ ამ ქონების ვიზუალური დათვალიერების შესაძლებლობა;
- ✓ მიიღონ სამართლებრივი კონსულტაცია ქონების საკუთრებაში მიღების და თანმდევი შედეგის შესახებ;
- ✓ ქონების ადეკვატური სანყისი ფასი;

- ✓ აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში მათი საკუთრების უფლების სწრაფი აღიარება;
- ✓ აუქციონზე შეძენილი ქონების რეალურად ფლობის შესაძლებლობა.

სააღსრულებო წარმოების პროცესი

ჩვენ გვაქვს ყველა საქმისადმი ერთიანი მიდგომა და მუშაობის ჩამოყალიბებული პრინციპები. ამასთან ერთად პრიორიტეტულად მივიჩნევთ საქმეებს, რომელთა აღსრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა დაუყოვნებლივი მოქმედებები. ეს არის კრედიტორთა ახალი განცხადებები; მოვალეთა მიმართ შემოსული ახალი ინფორმაცია, რომელიც საჭიროებს დაუყოვნებლივ გადამონშებას ან იძულებით მოქმედებას; ალიმენტების საქმეები; დანაშაულის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეები; კრედიტორთა ძვირადღირებული მოთხოვნები, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აღსასრულებელი საქმეები.

ყოველი კრედიტორის ახალი განცხადება ჩვენთვის არის ახალი საქმის დაწყების საფუძველი. ახალ განცხადებასთან დაკავშირებით ჩვენ ვინყებთ მუშაობას იმავე დღეს: ვარეგისტრირებთ მას, გადავცემთ აღმასრულებელს ან აღმასრულებელთა ჯგუფს, რომლებიც დაუყოვნებლივ ატარებენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოთხოვნის სწრაფ აღსრულებას.

ჩვენ ვაცნობიერებთ მოვალეთა რეესტრის მნიშვნელოვან როლს მოვალის ქონების მოძიებისა და ამ ქონებიდან გადახდევინების უზრუნველყოფის საქმეში. ამიტომ, ყოველი ახალი კრედიტორის მოთხოვნის თანახმად დაწყებული თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოება წარმოადგენს მოვალის მოვალეთა რეესტრის ერთიან ბაზაში დაუყოვნებლივ რეგისტრაციის საფუძველს, კანონით დადგენილი პირობებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

მოვალის ინფორმირებულობისა და მის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ვუგზავნით მოვალეს შეტყობინებას და ვაძლევთ ვადას, რათა მან შეძლოს ნებაყოფლობით შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება და თავიდან აიცილოს მის საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონების, ასევე ქონებრივი უფლებების აუქციონზე რეალიზაცია.

სააღსრულებო წარმოების დაწყებისთანავე კრედიტორის მოთხოვნის აღსრულების უზრუნველსაყოფად ვინყებთ მოვალის ქონების მოძიებასა და

დაყადაღებას, ისე რომ არ ველოდებით მის მიერ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლას. მოვალის ქონების მოძიებისა და დაყადაღების მიზნით უპირველეს ყოვლისა:

მივმართავთ საბანკო დანესებულებებს — მოვალის ანგარიშების მოძიების და მათზე ყადაღის გავრცელების მიზნით;

მივმართავთ მარეგისტრირებელ ორგანოებს — მოვალის უძრავი ქონების, არამატერიალური ქონებრივი სიკეთების, ავტომობილების, საზღვაო და საჰაერო ხომალდების, იარაღის აღმოჩენისა და მათი განკარგვის შეზღუდვის მიზნით;

მივმართავთ მოვალეს და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირებს, რათა წარმოადგინონ სრული და უტყუარი ინფორმაცია მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

გავდივართ მოვალის საცხოვრებელ ან საქმიანობის ადგილზე (თუ მოვალე არის იურიდიული პირი ან ორგანიზაცია), ვახორციელებთ ადგილზე დათვალიერებას, აღწერთ ქონებას და ვაფასებთ მას.

მოძრავი ქონების დაყადაღებისას, ვხელმძღვანელობთ პრინციპით, რომ ქონება, რომელსაც მოვალე ფლობს მას ეკუთვნის, თუმცა ადგილზევე შევისწავლით ასეთი ქონების კუთვნილების საკითხს და ისე შეგვაქვს ქონება აღწერისა და დაყადაღების აქტი. ამასთან, არ ვაყადაღებთ ისეთ ქონებას, რომელიც მოვალისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა ან წარმოადგენს შემოსავალს, რომელიც არ აღემატება დადგენილი საარსებო მინიმუმის ზღვარს.

ქონების შეფასებისას თუ ქონების განსაკუთრებული თვისებების გამო მისი შეფასება მოითხოვს უფრო ღრმა პროფესიულ ცოდნას დახმარებისათვის მივმართავთ ჩვენს ექსპერტებს — შეფასების სამსახურს. ექსპერტებს განესაზღვრებათ შეფასების კრიტერიუმები და მიეწოდებათ მაქსიმალურად სრული ინფორმაცია ქონებასთან დაკავშირებით, მათ შორის ქონების ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა, ფოტოსურათები. აღმასრულებლები ხელს უწყობენ მათ ქონების ადგილზე დათვალიერების ორგანიზებაში ჩვენ ვაცნობიერებთ რაოდენ მნიშვნელოვანია მოხდეს ქონების ზუსტი შეფასება იმისათვის, რომ ავარიდოთ მხარეებს ქონების არასწორი შეფასების შედეგად მიღებული ზიანი. ამასთან ერთად ჩვენი საქმიანობით მხარეებისათვის მიყენებული ზიანი პირდაპირ აისახება ჩვენს რეპუტაციაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. სწორედ ამიტომ, ჩვენი შემფასებლები ახდენენ ქონების საბაზრო ღირებულების დადგენას ამ ქონებასთან დაკავშირებით არსებული სრული ინფორმაციის საფუძველზე, რაც გულისხმობს

როგორც აღმასრულებლის მიერ მათთვის მიწოდებულ მასალებს, ასევე უშუალოდ შემფასებლების მიერ ქონების დათვალიერებას, დასურათებასა და ყველა საჭირო ინფორმაციის გამოთხოვას.

კრედიტორსა და მოვალეს საშულება ეძლევათ ჩვენს მიერ ქონების შეფასებამდე თავად წარმოადგინონ ქონების შეფასების დასკვნა. თუ მათ მიერ წარმოდგენილ დასკვნებს მივიჩნევთ სარწმუნოდ, ქონება გასაყიდად გაგვაქვს წარმოდგენილი შეფასების გათვალისწინებით. ეჭვის არსებობის შემთხვევაში ჩვენ თავად ვახდენთ ქონების საბაზრო ღირებულების დადგენას.

ჩვენ მკაცრად ვაკონტროლებთ ვადებს და ვცდილობთ ყველა პროცედურა, დაწყებული მოვალისათვის შეტყობინების გაგზავნიდან, დამთავრებული აუქციონის ჩატარებითა და კრედიტორებისათვის თანხების განაწილებით, განვახორციელოთ კანონით დადგენილ ვადებში. ამისათვის წინასწარ ვგეგმავთ ყველა საქმის წარმოების პროცესს: განვსაზღვრავთ თითოეულ საქმეზე ჩვენს მიერ ჩასატარებელ მოქმედებებს და ვადგენთ შუალედურ და საბოლოო ვადებს.

ჩვენ ხელს ვუწყობთ მოვალეს შეასრულოს გადახდის ვალდებულება პერიოდული გადახდების სახით ვადით 12 თვემდე. კერძო საქმეებზე ჩვენთვის გადამწყვეტია კრედიტორის თანხმობა, რაც არ არის სავალდებულო საჯარო საქმეებთან მიმართებაში. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩვენ ვიხილავთ მოვალის თხოვნას ვალდებულების პერიოდული გადახდების სახით შესრულების თაობაზე, ვსწავლობთ მის ფინანსურ მდგომარეობას და ყოველივეს გათვალისწინებით ვიღებთ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც თანაზომიერად დაიცავს კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვანარმოებთ აუქციონის წინა მოსამზადებელ პროცედურებს: შევისწავლით ქონების ფიზიკურ და სამართლებრივ მდგომარეობას და ქონების აუქციონზე გატანისას ვუზრუნველყოფთ ამ ქონებასთან დაკავშირებული მაქსიმალური ინფორმაციის განთავსებას. ამასთან ერთად, ჩვენ ვაძლევთ შესაძლებლობას აუქციონში მონაწილეობის მსურველ პირებს პირადად დაათვალიერონ ქონება, რისთვისაც ვუთითებთ ქონების ადგილმდებარეობას.

აუქციონის დასრულებიდან მაქსიმალურად მოკლე დროში ვადგენთ თანხის განაწილების გეგმას, რომლის მიხედვითაც ვურიცხავთ კრედიტორებს ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგებ თანხას. დარჩენილ თანხას ვუბრუნებთ მოვალეს. თუკი დადგენილი წესით ჩატარებული აუქციონის შედეგად ვერ ვახდენთ ქონების რეალიზაციას, ასეთ ქონებას ვათავისუფლებთ ყადაღისაგან და ვუბრუნებთ მოვალეს.

ჩვენ არ ვუზღუდავთ მხარეებს უფლებას აუქციონის გამოცხადებამდე მოახდინონ დაყადაღებული ქონების სხვაგვარი რეალიზაცია და წარმოგვიდგინონ ქონების შექმნით დაინტერესებული პირები. ასეთ დროს, ყურადღება ეთმობა ნასყიდობის ფასს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კრედიტორის მოთხოვნის, სააღსრულებო წარმოების მომსახურების საფასურისა და ხარჯების სრულად დაფარვა.

ჩვენ კონსულტაციას ვუწვევთ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აღსრულების პროცესთან და მიღებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვუზრუნველყოფთ ჩვენი თანამშრომლების მიერ საქმიანობის პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დაცვას, თუკი ასეთი ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას არ გვაკისრებს კანონმდებლობა.

ჩვენ ვანარმოებთ საქმიანობის ანგარიშებს. ყოველი რგოლი ანგარიშვალდებულია მისი ზემდგომი რგოლის წინაშე და წარუდგენს თავის უშუალო უფროსს მის მიერ შესრულებული საქმეების ანგარიშს 3 თვეში ერთხელ. ჩვენი ანგარიშები სრულად უნდა ასახავდეს საქმიანობის პროცესს და შეიცავდეს სტატისტიკურ მონაცემებს. აღსრულების ეროვნული ბიურო ადგენს საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც ქვეყნდება ჩვენს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ამით ვუზრუნველყოფთ აღსრულების პროცესის სრულ გამჭვირვალობას და ჩვენს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

პრევენცია

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პრევენციულ ღონისძიებებს და როგორც პირადად, ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით განვუმარტავთ მოქალაქეებს ვალდებულებების აღების სამართლებრივ შედეგებს. ამით ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი საზოგადოების სამართლებრივი განათლების დონის ამაღლებაზე.

ჩვენ განვუმარტავთ კრედიტორებსა და მოვალეებს მათ უფლებებს, რათა შეძლონ სააღსრულებო წარმოების პროცესში თავიანთი უფლებების უკეთ რეალიზება.

ჩვენ განვუმარტავთ კრედიტორებსა და მოვალეებს მათ ვალდებულებებს, რათა მათი შეუსრულებლობით არ გამოიწვიონ საკუთარი ინტერესების სანინააღმდეგო სამართლებრივი შედეგების დადგომა.

ჩვენ ხელს ვუწყობთ მხარეებს მორიგდნენ, ვეხმარებით მორიგების პირობების განსაზღვრაში და წარვუდგენთ სასამართლოს დასამტკიცებლად.

სამოგავლო პერსპექტივები

ჩვენი საქმიანობის განვითარებისათვის ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას ინფორმაციული ტექნოლოგიების პროდუქტების ათვისებაზე. ამ კუთხით ჩვენი მიზანია მივიღოთ წარმოების, მოძიების, ინფორმაციის გადამუშავების, ანგარიშსწორების, კომუნიკაციის გამარტივებული ელექტრონული პროცედურა.

ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ჩვენი საქმიანობის განვითარება წარმოგვიდგენია ჩვენი თანამშრომლების პროფესიონალიზმის დონის ზრდასთან ერთად. ამისათვის უნდა ვიმუშაოთ სწავლების დაგეგმარებასა და პროფესიონალური დონის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრაზე.

სტატისტიკისა და ანალიზის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი საქმიანობის შეფასებას და იმის გაცნობიერებას, თუ სად არის ჩვენი სუსტი წერტილები და რა მიმართულებით უნდა განვაგრძოთ მუშაობა.

კანონმდებლობის განვითარება და სრულყოფა არის მუდმივი პროცესი საბოლოო დახვეწილი საკანონმდებლო ბაზის მიღების გზაზე.

ჩვენი თანამშრომლების კეთილსინდისიერება და მომსახურების ხარისხის სრულყოფა პირდაპირ კავშირშია საზოგადოების მხრიდან ჩვენდამი ნდობის არსებობასთან, კეთილგანწყობასა და მორალურ მხარდაჭერასთან.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე

